ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N45

ქ.თბილისი 08 ივნისი 2022 წელი

ერთი მხრივ, შპს „მარნეულის სოფწყალი“-ს (შემდგომში -„შემსყიდველი“), წარმოდგენილი დირექტორი ნაბი აბდულაევის სახით და მეორე მხრივ შპს „ორისი“ (შემდგომში- „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი დირექტორის დავით გოთოშიას სახით, ერთად წოდებულნი როგორც „მხარეები“, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების (შესყიდვის) საგანი /ობიექტი, შესყიდვის საშუალება,
, ხელშეკრულების ღირებულება და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

1.1. ხელშეკრულების საგანი: საბუღალტრო პროგრამა ორისის 5 მომხმარებლიანი ერთვალუტიანი ვალუტიანი A05S/U განახლების (CPV 48440000) შესყიდვა ხელშეკრულების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის განხორციელების გზით.

1.2. შესყიდვის ობიექტის რაოდენობა: შესყიდვის ობიექტის რაოდენობა მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ში.

1.3. შესყიდვის საშუალება: გამარტივებული შესყიდვა „სახელმწფო შესყიდვების შესახებ“საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

1.4 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 568.00(ხუთასსამოცდარვა)ლარს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისიწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით, წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1 -ის შესაბამისად.

1.5 კალასიფიკატორის კოდი:CPV-48400000-საქმიანი გარიგებებისა და პირადი საქმეების მართვის პროგრამული პაკეტები.

1.6. ხელშეკურულების მოქმედების ვადა: ხელშეკრულება ძალაშია 2022 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

2.შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ვადა და ადგილი

2.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა: ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 30 ივნისამდე.

2.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი: ალ.ყაზბეგის განN12 ბ.

3.შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ხარისხი შესაბამისობაში იქნება წინამდებარე ხელშეკრულებასთან.

4. **ხელშეკრულების შესრულების კონტროლი(ინსპექტირება)**

4.1 შემსყიდვლი ახორციელებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პიობების შესრულების კონტროლს.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოფს ხელშეკრულების პირობების კონტროლს.

4.3 მიმწოდებელის მიერ ხელშეკრულებიღ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განხორციელებს შპს „მარნეულის სოფწყალი"-ის ფინანსური მენეჯერი თინა დარბაიძე.

5.შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.

5.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბრების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შპს „მარნეულის სოფწყალი"-ის დირექტორი ნაბი აბდულაევი.

5.3 მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოიდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

6. ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა

6.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით -ლარში.

6.2 ანგარიშსწორება განხორციელდება 2022წლის საკუთარი სახსრებით, მიღება-ჩაბრების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდა 10 (ათი)სამუშაო დღის განმავლობაში.

6.3 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

7.ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

7.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება პირგასამტეხლო.

7.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების (გარდა შესრულების ვადის დარღვევისა) შემთხვევაში მიმწოდებელს დაკისრება ჯარიმის გადახდა ყოველი დარღვევისთვის ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

7.4 თუ ხელშეკრულების შეწყვეტა გამოწვეულია მიმწოდებლის ბრალეული ქმედებით, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

7.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრუელების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

8. ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელსეკრულების დამდებ ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრლების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მ ისი ცალკეულის პირობების მოქმედების ცალმხრივდა შეწყვეტის შესახებ.

8.2 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებლობით.

8.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება , რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრლებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4 ხელშეკრუელბის ცალკეული პიროებების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.5 შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულებლის ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:

ა)მიწოდების ვადის , ასევე, ხელშეკრულებით ნაკისრი ხვა ვალდებულებისათვის განსაზღვრული ვად(ებ)ის 10 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცლების შემთხვევაში:

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოკიდებული მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულბას:

გ)საქართველოს კანონმდელობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მათ შორის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნებისმიერი ისეთი დარღვევის დროს, რაც შეუძლებლს ხდის ნორმალური სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას, ან იწვევს შემსყიდველის ინტერესის დაკარგვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებისადმი.

8.6 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით,

9. ფორს-მაჟორი

9.1 ფორს-მაჟორი - სტიქიის მოვლენები,გაფიცვები, საბოტაჟო ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება , ომი, ბლოკადა, მიწისძვრა, მეწყერის ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია. ფორსმ-მაჟორად არ ითვლება მიმწოდებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, თუ ეს ჩამოთვლილ მოვლენებთან არ არის დაკავშირებული ამ დროს მხარეებს შორის ხელშეკრუელბის შეაბამისად გადასახდელ თანხაზე ფორს-მაჟორის შემთხვევაში გათვალისწინებული შეღავათები არ ვრცელდება.

9.2 ხლშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9. 3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვეაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებიბის შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოკიდებულნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენსგან.

9.4 იმ შემტხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეს წერილობითი შეთანხმების სახით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზეზბის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებტან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის ხელშეკრულბის შეწყვეტა)უნდა გაფორმდეს წერილობით- მხარეთა შეთანხმების სახით.მხარეთა წერილობითი შთანხმება ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11.ღირებულება

11.1 მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული შესასრულებელი ვალდებულების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებას.

11.2 მხარეტა შეთანხმებით დასაშვებია ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა.

11.3 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრების შეცვლა დაუსვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხევებისა.

11.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვაისწინებული პირობების დადგომის შემთხვევეაში,დაუშვებელია სახემწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

11.5 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

12.ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

12.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულეის დამდებ მხარეებს შორის უნდა წარმოებდეს წერილობითი ფორმით. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს ,იგზავნება ფოსტის ან/და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

12.2 ამ მუხლის 12.1 პუნქტით მიღებული შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

13.სადავო საკითხების გადაწყეტა

13.1 ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ წარმოქმნილი ნებისმერი დავა შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით, ხოლო ასეთის მიუღწეველობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს სასამართლოს მიერ.

13.2 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. სალიცენზიო პირობები

14.1საავტორო უფლება.

კომპიუტერული პროგრამა და სახელმძღვანელო წარმოადგენს შპს ორისის საკუთრებას და დაცულია კანონით.

სალიცენზიო უფლებები.

პროგრამის ერთკომპიუტერიანი ვერსიის ლიცენზიის შემთხვევაში, თქვენ გაქვთ უფლება იმუშაოთ თქვენს ერთ კომპიუტერზე, ან ქსელური ლიცენზიის შემთხვევაში – ლოკალურ ქსელში ჩართულ შესაბამისი რაოდენობის კომპიუტერზე.

14.2 უფლებების გადაცემა

თქვენ შეგიძლიათ გადასცეთ სალიცენზიო უფლებები მესამე მხარეს იმ შემთხვევაში, თუ მესამე მხარე თანახმაა შეასრულოს მოცემული სალიცენზიო ხელშეკრულების ყველა პირობა. ამ შემთხვევაში, თქვენ უნდა გადასცეთ მესამე მხარეს პროგრამა და სხვა თანმხლები მასალა, ხოლო თქვენს კომპიუტერზე წაშალოთ პროგრამის ყველა ასლი.

შეზღუდული გარანტია

მომხმარებლის მიერ პროგრამის შეძენიდან ერთი წლის განმავლობაში შპს ორისი 14.3 უზრუნველყოფს პროგრამის კომპიუტერზე დაყენებასთან და სარგებლობასთან დაკავშირებულ სატელეფონო და საკონსულტაციო მომსახურებას შპს ორისის ტერიტორიაზე. შეძენიდან ერთი წლის განმავლობაში გაქვთ უფლება მიიღოთ პროგრამის განახლებული ვერსიები, იმ შემთხვევაში თუ პროგრამის განახლებული ვერსიები გამოშვებული იქნება შპს ორისის მიერ აღნიშნულ ვადაში.

14.4გარანტიების არარსებობა

პროგრამა და სახელმძღვანელო წარმოდგენილია “როგორც არის” ისეთი ფორმით და შეიძლება არ შეესაბამებოდეს მომხმარებლის ყველა მოთხოვნას. შპს ორისი არ გაძლევთ გარანტიას, რომ პროგრამა უშეცდომოა. შპს ორისი არანაირ ვითარებაში არ იღებს პასუხისმგებლობას მონაცემთა, ფულად, პირდაპირ ან ირიბ დანაკარგებზე, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს პროგრამის გამოყენებით ან გამოყენების შეუძლებლობით, იმ შემთხვევაშიც კი თუ შპს ორისი წინასწარ იყო ინფორმირებული ამგვარი დანაკარგების შესახებ.

არანაირ ვითარებაში დანაკარგების ანაზღაურების თანხა არ შეიძლება აჭარბებდეს მომხმარებლის მიერ ფაქტიურად გადახდილ პროგრამის ღირებულებას.

15.სხვა პირობები

15.1 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.2 საკითხები, როელებიც არ არის გათვალისწინებული აღნიშნული ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

15.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად თითოეულის აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან.)

16. მხრეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
შპს „მარნეულის სოფწყალი“	შპს „ორისი“
ს/კ 434158163	ს/კ 206033754
მის:ქ. მარნეული ერეკლე	მის:ქ.თბილისი,ალ. ყაზბეგის
მეორეს ქ.3 ბ49	გამზირი,N12ბ, V სართული
ს/ რეკ:ს/ს „ლიბერთი ბანკი“-ს	ს/რეკ:სს“საქართველოს ბანკი“
კოდი:LBRTGE22	კოდი:BAGAGE22
ა/ა GE62LB0113145242467000	ა/ა GE88BG0000000120121601
ტელ;599996449	ტელ:2384343
ელ-ფოსტა sofwyali@mail.ru	ელ-ფოსტა:mail@oris.ge
დირექტორი:	დირექტორი:
Nabi Abdulaevi 28001011009 Digitally signed by Nabi Abdulaevi Date: 2022.06.08 14:33:41	Ltd ORIS Digitally signed by Ltd ORIS Date: 2022.06.08 16:07:18 +04'00'
ნაბი აბდულაევი	დავით გოთოშია

2022 წლის 08 ივნისის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N45 ხელშეკრულების

დანართი N1

N	**შესყიდვის ობიექტის დასახელება**	**რაოდენობა**	**ერთეულის ღირებულება (ლარი)**	**საერთო ღირებულება (ლარი)**
1	პრ. განახლება A05S/U	1	568	568
	სულ ჯამი:			568